ხელშეკრულება #MDF/D/NCS/020/2016
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **4 ივლისი 2016 წ**

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.2 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.3 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.4 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2.ხელშეკრულების დამდები მხარეები
2.1 ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ჯუანშერ ბურჭულაძის სახით და მეორეს მხრივ შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი უფროსის მერაბ ლიპარტიას სახით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (SMP160001762), ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

3. ხელშეკრულების საგანი
3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების დანართით N1 გათვალისწინებული ტექნიკური დავალებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განუხრელი დაცვით შემსყიდველის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში არსებული შენობა-ნაგებობების, მათზე დამაგრებული ინვეტარის, მანქანა-მექანიზმებისა და მატერიალური ფასეულობების, ასევე მიმდებარე ტერიტორიის ცოცხალი ძალით დაცვის გამოყენებით დაცვის მომსახურების გაწევა (CPV79713000-დაცვის მომსახურება), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს გაწეული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება
4.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება, შეადგენს 12006 (თორმეტი ათას ექვსი) ლარს (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).
4.2. ერთ კალენდარულ თვეში დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ უმცროს ინსპექტორზე 667 (ექვსას სამოცდაშვიდი) ლარს, ხოლო ექვს უმცროს ინსპექტორზე შეადგენს 4002 (ოთხიათასორი) ლარს.
4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და მიმწოდებლისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
5.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1.მიწოდებული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართით №1 გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის დადგენა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

5.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრაციის სამსახურის ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი დავით გოგლიძე.

6. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, მიწოდების ადგილი და ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

7.2 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების დანართით №1 გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ გაწეული მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართით №1 გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული პირი ადგენს შესაბამის ინსპექტირების დასკვნას, ხოლო შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი მომსახურება. თუ ეს ნაკლოვანება გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კალენდარულ თვეში ერთხელ მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

8.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 8.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

9.1.1.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

9.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9.1.3. დაცვის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით;
9.1.4. აანაზღაუროს ნებისმიერი ზარალი, რომელიც წარმოიშვება მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო.
9.1.5. შემსყიდველისათვის ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას მიმწოდებელი მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;
9.1.6.მიმწოდებელი არ კისრულობს პასუხისმგებლობას დაცვის ობიექტზე თავისუფალი მიმოსვლის უფლებით აღჭურვილი პირების პირად ნივთებზე, ასევე მატერიალური ფასეულობების დაკარგვაზე, თუ ეს გამოწვეულია დაცვის ობიექტის მიმწოდებლისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.
9.1.7.იმ შემთხვევაში თუ დაცვის ობიექტი გადაეცა სხვა პირს, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის წაყენებიდან 10 დღის განმავლობაში შეწყვიტოს დაცვის მომსახურების გაწევა.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.
9.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
9.2.3.დროულად გადასცეს მიმწოდებელს დასაცავი ობიექტი და შეუქმნას ყველა პირობა მომსახურების გასაწევად;
9.2.4.დაცვის ობიექტის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში „დაცვის" თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;
9.2.5.არანაკლებ 15 დღით ადრე აცნობოს მიმწოდებელს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე" მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის" დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);
9.2.6.დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე არ დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით;
9.2.7. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა უფლება

10.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
10.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
10.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
10.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.
10.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.
10.2.3.მოითხოვოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაცვის ობიექტი გადაეცა სხვა პირს.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი

საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა
ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
16.1. მხარეთა შეთანხმებით;
16.2. ხელშეკრულების 15.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;
16.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.4.შემსყიდველის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ დაცვის ობიექტი გადაეცა სხვა პირს.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები
18.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
18.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ორი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	შსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი"
განვითარების ფონდი	
ს/კ: 206 074 193	ს/კ: 211350928
მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N150	ქ.ფოთი, მშვიდობის ქ. N6
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;	226 10 72; 226 10 95
ხაზინის ერთიანი ანგარიში;	ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22;	ბანკის კოდი: TRESGE22
	სახაზინო კოდი: 707117041
ჯუანშერ ბურჭულაძე	მერაბ ლიპარტია
აღმასრულებელი დირექტორი	შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი

დანართი N1

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი:
შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის განხორციელებული პროექტის ფარგლებში არსებული შენობა-ნაგებობების, მათზე დამაგრებული ინვეტარის, მანქანა-მექანიზმებისა და მატერიალური ფასეულობების, ასევე მიმდებარე ტერიტორიის დაცვის მომსახურება ცოცხალი ძალით.
შესყიდვის ობიექტის მისამართი: ქ. ფოთი, გურიის ქუჩა.
მიმწოდებლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები:
მომსახურების გაწევისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:
ა) შესაბამისი გამოცდილებისა და პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომელთა შერჩევა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება გაწეული სადღეღამისო მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს;
ბ)შესყიდვის ობიექტზე დაცვის მომსახურება უნდა განახორციელოს ცოცხალი ძალის, კერძოდ ცვლაში (24 საათი) 2 თანამშრომლის, ხოლო კვირაში 3 ცვლის გამოყენებით.
გ) დაცვითი მომსახურების განხორციელების გეგმის შედგენა;
დ) თანამშრომელთა აღჭურვა დაცვისთვის საჭირო აღჭურვილობით (კავშირგაბმულობის საშუალებები, ხრახლულიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, აუცილებლობის შემთხვევაში ავტოტრანსპორი და ა.შ.).
ე) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მოახდინოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს როგორც „შემსყიდველის", ისე „მიმწოდებლის" წარმომადგენელს და საჭიროებისამებრ კომპეტენტურ ორგანოებს და აღნიშნულ პირთა მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა, ასევე გამოძახებულ იქნეს ოპერატიული ჯგუფი, ასევე აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების დაფიქსირებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი ოქმი და დააფიქსიროს მხარეების ხელმოწერები.
ვ) აიღოს ფინანსური პასუხისმგებლობა დაცვის ობიექტის შენობებისა და იმ მატერიალური ფასეულობების დაზიანებაზე და განადგურებაზე, დაკარგვაზე, რომელთა დაკარგვა, დაზიანება ან/დაგანადგურება გამოწვეულია ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებისა და მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებით.
ზ) იმ შემთხვევაში თუ დაცვის ობიექტი გადაეცა სხვა პირს, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის წაყენებიდან 10 დღის განმავლობაში შეწყვიტოს დაცვის მომსახურების გაწევა.
მომსახურების მიწოდების ვადები: 2016 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	შსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი"
ჯუანშერ ბურჯღულაძე აღმასრულებელი დირექტორი	მერაბ ლიპარტია შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080127539208716

 # 1917 **04 / ივლისი / 2016 წ.**

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 29 ივნისს (18:06 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ SMP160001762 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის (შენობაში არსებული დანადგარების) ცეცხლსასროლი იარაღით დაცვის მომსახურების (CPV-79700000-გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის თაობაზე. მიმწოდებლის მიერ სამუშაოები დასრულებულია, მაგრამ აღნიშნული ნაგებობა ჯერჯერობით არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, რისთვისაც საჭიროა განხორციელდეს ობიექტზე არსებული ძვირადღირებული დანადგარების დაცვა. შესაბამისად, მისი დაცვა უნდა განხორციელდეს ცეცხლსასროლი იარაღის მქონე ცოცხალი ძალის გამოყენებით. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის № 266 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ დებულებისა და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, ობიექტის დაცვის უფლებამოსილება გააჩნია, მხოლოდ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი

დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის № 266 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებისა“ და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დასაცავ ობიექტებზე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილებას. ამ მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გაწუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ SMP160001762 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

შეთანხმებები გამარტივებული შესყიდვის თაობაზე (SMP)

ახალი ჩანაწერი

SMP #

განცხადების სტატუსი

მეშსყიდველი (კოდი/ID)

შემსყიდველი (სახელი)

მიმწოდებელი (კოდი/ID)

მიმწოდებელი (სახელი)

შესყიდვის საფუძველი

შესყიდვის კატეგორია

კლასიფიკატორის კოდები

CPV

თარიღი (-დან/-მდე)

თანხით (-დან/-მდე)

ძებნა ჩემს ჩანაწერებში

ძებნა

უკან

SMP160001762 > თანხმობა

კითხვარი/განცხადება | კომენტარები (0)

განხილვის საბოლოო თარიღი: 05.07.2016

მიმწოდებელი	211350928 - მსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (საქართველოს რეზიდენტი)
ზემდგომი ორგანო	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
მეშსყიდველი	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
შესყიდვის საფუძველი	ექსკლუზიური უფლებამოსილება
ხელშკრულების ვადები	01.07.2016 - 30.09.2016
შესყიდვის ღირებულება	12006 ლარი
შესყიდვის კატეგორია	79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის კოდები	79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
მიმაგრებული ფაილები	1. თანხმობა.pdf 04.07.2016 16:32

1. რა არის შესყიდვის ობიექტი?

ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის (შენობაში არსებული დანადგარების) დაცვის მომსახურება (სამსახურებრივ-სამტატო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით).

2. რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და მპს „ბლოკ-ჯორჯია"-ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის თაობაზე. მიმწოდებლის მიერ სამუშაოები დასრულებულია, მაგრამ აღნიშნული ნაგებობა ჯერჯერობით არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, რისთვისაც საჭიროა განხორციელდეს ობიექტზე არსებული ძვირადღირებული დანადგარების დაცვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედმა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა ცეცხლსასროლი იარაღით.

3. რა მეთოდით დადგინდა პირის ექსკლუზიური უფლებამოსილება?

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების"და "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ობიექტის დაცვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

4. რა მეთოდით დადგინდა, რომ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად?

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების" და "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ობიექტის დაცვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

5. რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის საკარაუდო ღირებულება?

წინა ანალოგიური მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით, დაცვის მომსახურებაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი – "დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან" გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მათი მხრიდან წარმოდგენილი მოკვლევის აქტების საფუძველზე.

6. აღემატება თუ არა მესასყიდი საქონლის ან მომსახურების საკარაუდო ღირებულება 2 000 000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს? (კი/არა)

არა

* [თუ არ აღემატება] ქვეყნის შიგნით ხომ არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს მესრულება?

არ არსებობს

* [თუ არ აღემატება] რა მეთოდით დადგინდა, რომ ქვეყნის შიგნით არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს მესრულება?

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების" და "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ობიექტის დაცვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

7. რამდენად შესაძლებელია, რომ შესყიდვის ობიექტი დანაწევრდეს ცალკეულ კომპონენტებად და იმგვარად იქნეს შესყიდული? (კი/არა)

არა

* [თუ არ არის შესაძლებელი დანაწევრება] რატომ არ შეიძლება დანაწევრდეს შესყიდვის ობიექტი?

შესყიდვის ობიექტის არსიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი დანაწევრება.

* [თუ არ არის შესაძლებელი დანაწევრება] რატომ არ შეიძლება შესყიდვა დანაწევრებული კომპონენტების მიხედვით?

შესყიდვის ობიექტის არსიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი დანაწევრებული კომპონენტების მიხედვით შესყიდვა.

8 როგორ განისაზღვრება ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები?

ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2016 წლის 01 ივლისიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 ოქტომბერის ჩათვლით.

9 რამდენად გონივრულია ხელშეკრელების შესრულებისა და მოქმედების ვადა, იმ თვალსაზრისით, რომ ამ პერიოდში ბაზარზე შესაძლებელია გაჩნდეს საქონლის მომწოდებელი, მომსახურების გამწევი ან სამშენებლო სამუშაოს შემსრულებელი სხვა პირი ან/და მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად?

მომსახურების გაწევისთვის სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის"-ს მიერ განსაზღვრულია შესაძლო მინიმალური და გონივრული ვადა (3 თვე), ვინაიდან იარაღიანი დაცვის მომსახურების უფლებამოსილების სხვა პირისთვის მინიჭებისათვის აუცილებელი იქნება რიგ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში სათანადო წესით ცვლილებების შეტანა, ხოლო აღნიშნული პროცედურები დაკავშირებულია საკმაოდ ხანგრძლივ ვადებთან.

10. გთხოვთ ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ბრძანება.pdf

სტატუსების ქრონოლოგია

თანხმობა 04.07.2016 16:32 :: თინათინ აბზიანიძე

განიხილება 29.06.2016 18:06 :: ხატონ ფაცაცია

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

N ს-72 29/06/2016

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ

I. აღწერილობითი ნაწილი

1. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ბლოკ-ჯორჯია"-ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის თაობაზე. ვინაიდან, აღნიშნული ნაგებობა ჯერჯერობით არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, საჭიროა განხორციელდეს ობიექტის დაცვა შესაბამისი სამსახურის მიერ. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანების თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დადებული ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, ამ მიზნით დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები.

II. სამოტივაციო ნაწილი

ვინაიდან, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანების თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დასაცავ ობიექტებზე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილებას და ამ მიზნით დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები, აგრეთვე შეაჩეროს, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიპყროს სამართალდამრღვევი და გადასცეს ის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ აღნიშნული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E-mail: mdf@mdf.org.ge

III. სარეზოლუციო ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანების და „სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის #558 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის დაცვისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. დაევალოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესაბამის სამსახურებს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალიწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

თორნიკე თორაძე

აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დირექცია

2551-მ-3-201606281230

N 2551-მ 28/06/2016

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორის პირველ მოადგილეს
ბატონ თორნიკე თორაძეს

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ქალაქ ფოთში განთავსებულ ობიექტს იცავს მგფ-ს მიერ დაქირავებული შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული დაცვის პოლიციის სამმართველო, ხელშეკრულება #MDF/D/NCS/067/2015.

აღნიშნულ ხელშეკრულებას 2016 წლის 30 ივნისს ეწურება მოქმედების ვადა, ობიექტის დაცვის მომსახურების უზრუნველსაყოფად საჭიროა 2016 წლის 1 ოქტომბრამდე (სამი თვით) გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება ყოველთვიური გადასახადით 4002,0 (ოთხი ათას ორი) ლარი, დაფინანსების წყარო მგფ-ს საკუთარი სახსრები.

გთხოვთ დაავალოთ იურიდიულ სამსახურს გამოსცეს შესაბამისი ბრძანება და შესყიდვების სამსახურს განახორციელოს მომსახურების დაქირავების პროცედურები.

დავით გოგლიძე

ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი

ადმინისტრაციის სამსახური